ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის
სხდომის ოქმი N 44

21 დეკემბერი, 2020 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
თ. ნიბლოშვილი, ა. ლაშხი, გ. გოცირიძე, ე. კუხიანიძე, ვ. ოთარაშვილი, ვ. ძნელაძე, მ. დარჩია, ქ. ჯოხაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე საკრებულოს წევრები:
ლევან არველაძე, ოთარ გრიგოლია, ილია ჯიშკარიანი, ნინო რუხაძე, ლევან დარახველიძე, ოთარ გრიგოლია.

მოწვეული სტუმრები:
1. ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. ირაკლი თურმანიძე - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (12-032034578-03; 10.12.2020).

   მომხსენებელი: ბატონი ლევან მიქავა
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. დეპუტატმა განმარტა, რომ მიმდინარე სხდომა საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიასთან გაერთიანებული წარიმართებოდა. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიები იმსჯელებენ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე, რომელიც თბილისის მერმა მიმდინარე წლის 10 დეკემბერს წარმოადგინა.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, ბატონმა ლევან მიქავამ, რომელმაც განმარტა, რომ თბილისის საკრებულოსთვის თავდაპირველად წარმოდგენილი დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტთან შედარებით, განსახილველი ბიუჯეტის პროექტი გაზრდილია 210 მილიონი ლარით, რაც ასევე, ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის 175 მილიონი ლარის სპეციალური ტრანსფერის გამოყოფას და საბოლოოდ, დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა შეადგენს 1 050 300 000 ლარს. ბატონი ლევან მიქავას თქმით, აღნიშნული 210 მილიონი ლარი გადანაწილდა შემდეგ პროექტებსა და პროგრამებზე: კაპიტალურ პროექტებზე - 140 მილიონი ლარი, საიდანაც ზღვისუბნის პარკის მოწყობის სამუშაოებისთვის გათვალისწინებულია 20 500 000 ლარი, ვარკეთილის ხევის რეაბილიტაციისთვის - 5 700 000 ლარი, გამწვანების ღონისძიებებისთვის - 1 700 000 ლარი, თბილისის განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ძველი ქალაქის რეაბილიტაციის პროექტებისთვის - 22 300 000 ლარი, უნივერსიტეტის ქუჩის და წყნეთის გზატკეცილის დამაკავშირებელი ხიდის სამუშაოების დაწყებისთვის გამოიყო 8 000 000 ლარი, საყრდენი კედლების მოწყობისთვის - 5 000 000 ლარი, სანიაღვრე, სადრენაჟე და საკანალიზაციო სისტემების მოწყობისთვის - 1 600 000 ლარი, ქეთევან დედოფლის გამზირის რეაბილიტაციისთვის - 4 700 000 ლარი, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის და ყიფშიძის ქუჩის დამაკავშირებელი გზის მოწყობისთვის - 3 500 000 ლარი, მაჭავარიანი-გელოვანის დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობისთვის - 5 000 000 ლარი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის - 1 500 000 ლარი, ახალი სკვერების მოწყობისთვის - 8 000 000 ლარი.

ბატონი ლევან მიქავას თქმით, გაიზარდა რაიონული ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, მათ შორის, რაიონების გზების მოვლა-პატრონობისთვის გამოყოფილია 7 900 000 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებებისთვის - 10 100 000 ლარი. მომხსენებლის განმარტებით, დედაქალაქის ბიუჯეტის მიმდინარე პროექტების დაფინანსება გაიზარდა 69 700 000 ლარით, საქალაქო ტრანსპორტის სუბსიდიისთვის გამოყოფილია 50 000 000 ლარი, შპს თბილსერვის ჯგუფის სუბსიდიისთვის - 9 000 000 ლარი, გამწვანების ღონისძიებებისთვის - 4 800 000 ლარი, სანიაღვრე ქსელის ექსპლუატაციისთვის - 1 000 000 ლარი. ასევე, გაიზარდა უფასო სასადილოების ასიგნება 1 700 000 ლარით, რაც გამოწვეულია რაიონების მიხედვით სასადილოების ბენეფიციართა რაოდენობის გათვალისწინებით. ზრდა შეეხო აგრეთვე რაიონებში სოციალური დახმარებების პროგრამას, რომელიც 300 000 ლარით გაიზარდა.

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენლის თქმით, კულტურის მიმართულებაში წიგნის მსოფლიო დედაქალაქის ფარგლებში წიგნის ფესტივალის ღონისძიებებისთვის გამოყოფილია 2 700 000 ლარი.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა ლევან არველაძემ აღნიშნა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტში ინფრასტრუქტურის პროექტების დაფინანსება 74 000 000 ლარით არის შემცირებული. დეპუტატის თქმით, ასევე, შემცირდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის დაფინანსება. ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ როგორც მისთვის არის ცნობილი, 2021 წელს შესაძლოა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამატებით კიდევ გაიზარდოს და შესაბამისად, დაინტერესდა, აღნიშნულის ფარგლებში გაიზრდება თუ არა ინფრასტრუქტურის პროექტებისა და მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის დაფინანსება. პასუხად, ბატონმა ლევან მიქავამ განმარტა, რომ 2021 წლის ბიუჯეტი 2020 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით მცირეა, რაც შესაბამისად აისახა 2021 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც და ბიუჯეტის კოდი „02“-იც შემცირდა. საბიუჯეტო ასიგნებები სხვადასხვა პროგრამაში გადანაწილდა პრიორიტეტების მიხედვით, ჯამურად კი ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 375 000 000 ლარია გათვალისწინებული. ბატონმა ლევან მიქავამ ასევე აღნიშნა, რომ 2021 წლის იანვრის ბოლოს, ან თებერვლის დასაწყისში თბილისს დამატებით გამოეყოფა 50 000 000 ლარი, რომელიც შემდეგნაირად გადანაწილდება: სპორტული ობიექტების აღჭურვისთვის - 5 100 000, წყნეთის გზატკეცილზე ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მშენებლობისთვის - 2 000 000 ლარი, მთაწმინდის საბაგირო გზის მშენებლობისთვის - 17 400 000 ლარი, შპს სატრანსპორტო კომპანიის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის - 5 000 000 ლარი, ვაკის პარკის კასკადისა და შადრევნების რეაბილიტაციისთვის 4 000 000 ლარი; სკვერების მოწყობისთვის - 5 400 000 ლარი, ნაგავშემკრები კონტეინერების შესაძენად - 1 600 000 ლარი და თბილისის სანიაღვრე და სადრენაჟო ქსელის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის - 8 400 000 ლარი. სოფელ დიღომში, თეთრი გიორგის ქუჩის მიმდებარედ ხიდის რეაბილიტაციისთვის - 1 200 000 ლარი და გლდანის რაიონში, ბელიაშვილის ქუჩაზე გამაგრებითი სამუშაოებისთვის - 900 000 ლარი.

ბატონი ლევან არველაძე დაინტერესდა აღნიშნული 50 000 000 ლარის დაფინანსება მოიცავს თუ არა ვაჟა-ფშაველას გამზირის რეაბილიტაციას, რაზეც საფინანსო სამსახურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული სამუშაო წარმოდგენილი თბილისის ბიუჯეტის პროექტში არ არის.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ 2021 წელი ძალიან მნიშვნელოვანია თბილისისთვის და შესაბამისად, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიისთვის, ვინაიდან თბილისი იქნება წიგნის მსოფლიო დედაქალაქი და ამ პროექტზე გამოყოფილი თანხა მიზნობრივად გადანაწილდება, იმისთვის, რომ დედაქალაქი კიდევ უფრო მასშტაბურად წარმოჩინდეს.

კომისიის წევრმა, ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა აღნიშნა, რომ ქართველმა სახელოვნებო-შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, არქიტექტორთა კავშირმა და საერთოდ, არქიტექტორებმა დედაქალაქის მერიის წინაშე რამდენჯერმე დააყენეს საკითხი მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლის მდებარეობის შეცვლასთან დაკავშირებით. ეს საკითხი 2012 წლიდან აქტუალურია, მაგრამ დღემდე ვერ მოხდა შესაბამისი თანხების გამოყოფა. ბატონი ვაჟას თქმით, ცნობილმა არქიტექტორებმა თვითონვე შეადგინეს პროექტი, მოიძიეს შესაბამისი ადგილი თბილისში

რუსთაველის გამზირზე, რასთან დაკავშირებითაც ჰქონდათ შეხვედრები სხვადასხვა უწყებასთან. სანამ პანდემია დაიწყებოდა, თბილისში იმყოფებოდნენ ფრანგი სტუმრები, რომლებმაც ქართული ფსალმუნები თარგმნეს ფრანგულად; ისინი ვარდების სროლით ცდილობდნენ მეფე დავით აღმაშენებლისთვის პატივის მიგებას, რადგან ძეგლთან ფიზიკურად მიახლოება ვერ შეძლეს მისი მდებარეობის გამო. ბატონი ვაჟა დაინტერესდა, თუ რატომ არ არის ასახული შესაბამისი თანხები 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში. დეპუტატმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანასთან დაკავშირებით კომისიამ ცალკე იმსჯელოს შესაბამისი დარგის წარმომადგენლებთან ერთად.

დეპუტატმა, ასევე აღნიშნა, რომ წიგნის ფესტივალისთვის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 2 700 000 ლარი და რომ მნიშვნელოვანია, აღნიშნული პროექტის ფარგლებში ნაწარმოებების წარმოდგენის საშუალება თანაბრად მიეცეთ, როგორც გამომცემლობებს, ისე ავტორებს მათთვის გამოფენაზე სივრცის გამოყოფით. დეპუტატი, ასევე დაინტერესდა პარასპორტისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებებით, რასთან დაკავშირებითაც ბატონმა ოთარ გრიგოლიამ და ანა ლაშხმა განმარტეს, რომ ამ პროექტის დეტალური მონაცემები 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესაბამის კოდშია მოცემული.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით განმარტა, რომ მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანის საკითხი ადრეც გახმოვანდა თბილისის საკრებულოში, თუმცა მას არასდროს სმენია რომელიმე ორგანოს ან სტრუქტურის მხრიდან მზაობაზე, რომ ძეგლის გადატანა, ან პირვანდელ ადგილზე განთავსება განხორციელებადი იყო. მისი თქმით, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, დასრულდა ის დრო, როდესაც ძეგლებს კონკრეტული პოლიტიკოსები პირადი შეხედულებებით გადაადგილებდნენ.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა ილია ჯიშკარიანმა განმარტა, რომ როდესაც მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლი თბილისში, რუსთაველის გამზირზე იდგა, მაშინ გამზირის ინფრასტრუქტურა სხვაგვარი იყო. ამასთან, აღნიშნული ძეგლის ადგილმონაცვლეობაზე საზოგადოებამ უნდა იმსჯელოს და არა მხოლოდ ცალკეულმა არქიტექტორებმა.

წიგნის ფესტივალთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გადაწყვეტილებით თბილისი 2021 წელს იქნება წიგნის დედაქალაქი, რასაც მსოფლიოს მრავალი ქალაქი ისურვებდა. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდება წიგნის ფესტივალი, სხვადასხვა ტიპის აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს თაობების წიგნის კითხვით დაინტერესებასა და წიგნის პოპულარიზაციას. პროექტი 2021 წლის აპრილიდან დაიწყება და მისი განხორციელებისთვის სამუშაო ჯგუფი მალევე ჩამოყალიბდება.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ თბილისისთვის ძალიან პრესტიჟულია წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსის მიღება და აქცენტი უნდა გაკეთდეს სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებაზე და არა მხოლოდ წიგნის ფესტივალებსა და წიგნის ბაზრობებზე.

კომისიის წევრმა, ბატონმა ვლადიმერ ძნელაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია თანხმობას აძლევს დედაქალაქის მერიას, რომ დედაქალაქის ბიუჯეტის ფარგლებში, ჩატარდეს წიგნის ფესტივალი, რისთისაც გამოყოფილია შესაბამისი ასიგნება. თუმცა, კონკრეტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით იმსჯელებს სამუშაო ჯგუფი, რაშიც კომისიასა და მერიის შესაბამის სამსახურს შეუძლია, ჩაერთოს. ამ ეტაპზე კი კომისია იღებს გადაწყვეტილებას მხოლოდ თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ პროექტით „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი" თბილისი აღიარებული იქნება მსოფლიოს მასშტაბით, კულტურის ცენტრალურ ქალაქად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციამ წიგნის მსოფლიო დედაქალაქი პირველად 2002 წელს, გაეროს გენერალური მდივნის ინიციატივით აღნიშნა და სტატუსი პირველად ესპანეთის ქალაქ მადრიდს ერგო. თბილისის მუნიციპალიტეტს დიდი სურვილი ჰქონდა წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი მიეღო, რადგან მას დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური დიდი ხანი იკვლევდა აღნიშნული სტატუსის მისაღებად განაცხადის წარდგენის პროცედურებს, საბოლოო ჯამში 2019 წელს წარადგინა დაახლოებით 420 გვერდიანი განაცხადი. ფინალში თბილისი მონაწილეობდა საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ქალაქებთან ერთად, გამარჯვება კი ჩვენმა განაცხადმა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ თბილისს წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი პირველივე ცდაზე მიენიჭა, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნების ქალაქებს მეტი ცდა სჭირდებოდათ სტატუსის მისაღებად. გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის საკომიტეტო მოსმენებისა და წიგნის გამავრცელებელი საზოგადოებების ჩართულობით, ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომლითაც თბილისმა გაიმარჯვა.

ქალბატონი მაკას განმარტებით, პროექტის ბიუჯეტი 4 მიმართულებას მოიცავს: 1. ავტორების თანამედროვე საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს, რომლის ფარგლებში ქართველი ავტორები გაემგზავრებიან უცხოეთში, თბილისთან დამეგობრებულ და დაძმობილებულ ქალაქებში, ხოლო უცხოელი ავტორები ეწვევიან თბილისს, გამართავენ გამოფენებს, საღამოებს - საფრანგეთი და ა.შ.შ ჩართულია აღნიშნულ ღონისძიებაში. ამ მიმართულების მიზანია ქართველი და უცხოელი ავტორების დაახლოება; 2. თანამედროვე და ახალი ტექნოლოგიების შექმნას, წიგნის კითხვის პოპულარიზაციისთვის. 3. შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას, რის ფარგლებშიც აქტიურად მიმდინარეობს თბილისის მუნიციპალური ბიბლიოთეკების სარემონტო სამუშაოები, მათ შორის, მიმდინარეა 4 ბიბლიოთეკა, ესენია: ილია ჭავჭავაძის, ლილოსა და გლდანის ბიბლიოთეკები და ასევე ერთი მედიათეკა; 4. მეოთხე კომპონენტია სხვადასხვა ფესტივალი, მათ შორის წიგნის ბაზრობაც.

ქალბატონი მაკა ნასრაშვილის თქმით, აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის დაკომპლექტებაც უკვე მიმდინარეობს. თბილისის მერია უშუალოდ არ გაუწევს ორგანიზებას წიგნის ბაზრობას, ის მხოლოდ დონორის ფუნქციას შეასრულებს, რომელიც სუბსიდიას გასცემს, რომ გააძლიეროს კერძო სექტორი.

ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორების გაცნობითი ღონისძიებები და გაცვლითი პროგრამები ძალიან მნიშვნელოვანია, რაც მათ შემოქმედებისთვის დადებითად ხელშემწყობი იქნება. მისი თქმით, 2007 წელს წინა ხელისუფლების მიერ გაუქმებული „წიგნის პალატა" უნდა აღდგეს და საკუთარი პოზიცია უნდა გამოხატოს თბილისის საკრებულომ და მერიამაც, რადგან ყველა ქვეყანაში არსებობს წიგნის პალატა და ის მატიანეს ფუნქციას ასრულებს. შესაბამისად, მისი აღდგენა და თუნდაც, თბილისის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანებაში გაწევრიანება, მიზანშეწონილია.

ქალბატონმა მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული ორგანიზაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შემადგენლობაში იყო. ქალბატონი მაკა ნასრაშვილის თქმით, წიგნის პალატას დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა და მის აღდგენაზე მსჯელობა შეიძლება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

სიტყვა გადაეცა ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოს დირექტორის მოადგილეს, ბატონ ირაკლი თურმანიძეს, რომელმაც განმარტა, რომ ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენს 143 000 000 ლარს, საიდანაც ბაღებზე გასაცემი სუბსიდია ითვალისწინებს 127 000 000 ლარს, ხოლო ინფრასტრუქტურის სამუშაოებისთვის გამოყოფილია 13 000 000 ლარი, რომელიც მოიცავს დაწყებული ბაღების მშენებლობების დასრულებას, ბაღების გამაგრებითი სამუშაოების გაგრძელება-დასრულებას, ავარიული და დემონტაჟირებული ბაღების ნაცვლად ახალი 3 ბაღის მშენებლობის დასრულებას. ბატონი ირაკლი თურმანიძის ინფორმაციით, 2021 წელს სააგენტო შეძლებს 9 ბაღის გახსნას, რომელთაგან 4 ახალი ბაღი იქნება, 3 - დემონტაჟირებულის ნაცვლად აშენებული ახალი შენობა, 2 კი - გამაგრებული.

საკრებულოს წევრი, ბატონი ლევან არველაძე დაინტერესდა თუ რომელ რაიონებში განთავსდება 4 ახალი ბაღი. პასუხად, ბატონმა ირაკლი თურმანიძემ განმარტა, რომ ბაღები აშენდება სამგორში (ლილოს დასახლება), ისანში (საინგილოს ჩიხი და ვაზისუბანი) და კრწანისის რაიონში (ოქროყანა).

კომისიის წევრი, ქალბატონმა გულია გოცირიძე დაინტერესდა, 2021 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს თუ არა გლდანის რაიონში ახალი ბაღის მშენებლობას, რაზეც ბატონმა ირაკლი თურმანიძემ განუმარტა, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტი, მოცემული მდგომარეობით, გლდანში ახალი ბაღის მშენებლობას არ ითვალისწინებს.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თინათინ ნიბლოშვილმა, ლევან მიქავამ, ლევან არველაძემ, ვაჟა ოთარაშვილმა, ვლადიმერ ძნელაძემ, ილია ჯიშკარიანმა, მარიკა დარჩიამ, მაკა ნასრაშვილმა, ოთარ გრიგოლიამ, ირაკლი თურმანიძემ, გულია გოცირიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ კომისიის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

საბიუჯეტო პროგრამების განხორციელებისას აქცენტი გაკეთდეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობასა და აღნიშნულ სფეროში მიმდინარე რეფორმების შეუფერხებლად გაგრძელებაზე; ასევე, წიგნის მსოფლიო დედაქალაქის ფარგლებში, წიგნის ფესტივალის სათანადოდ ჩატარებაზე და საბიუჯეტო პროგრამებზე „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) და „შემოქმედებითი თბილისი“ (08 09).

მომხრე ----------	7
წინააღმდეგი ----------	1 (კომისიის წევრი, ბატონი ვაჟა ოთარაშვილი)
თავი შეიკავა ----------	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ იგი დადებითად აფასებს აღნიშნულ ბიუჯეტის პროექტს, არ აქვს არსებითი შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს შესაბამისი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თინათინ ნიბლოშვილი